მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 06/7-26092 D 13 04 2017

მოქ. ლაშა ებრალიძეს
ტელ.574 999 022

შ.პ.ს. ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" განიხილა თქვენი განცხადება (კომპანიაში რეგისტრირებული IN№17-20732, თარიღი 27.03.17 წ.) დიდ დიღომში, ფარნავაზ მეფის ქუჩის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდი №01.10.06.006.011 და №01.10.06.006.229 მიწისქვეშა კომუნიკაციების მდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე, მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდი №01.10.06.006.011 და №01.10.06.006.229 გაედინება კომპანიის ბალანსზე რიცხული D=1200 მმ-იანი და ნაკვეთების მიმდებარედ D=1200 მმ-იანი წყალდენები. (იხ. სიტუაციური ნახაზი)

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენის ქსელებთან მიმართებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N 297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების" დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარიული დაცვის ზონები. სანიტარიული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00") და სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) თანახმად, წყალსადენის მილთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენის მილიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენის დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ - 20 მ-ისა, როცა წყალსადენის დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, სასაფლაოების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოწყობა და ფუნქციონირება.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სანდაწ II-89-80; სანდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად წყალსადენ-კანალიზაციის მიწისქვეშა ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის შემთხვევაში არანაკლებ - 5 მეტრი, შესაბამისად, მოცემულ არეალში წყალსადენის შემთხვევაში - 5 მეტრამდე მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული სამშენებლო ნორმებისა და წესების ზემოაღნიშნული მოთხოვნები, მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის შემთხვევაში, მიყენებულ ზიანზე ,,კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

ამასთანავე, ,,კომპანია“ გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის მიწისქვეშა ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

დანართი: 1 ფურცელი

ირაკლი ბაბუხადია
კომერციული დირექტორი

შემს.მ. ლოლაძე


1:350
01.10.06.006.229
01.10.06.006.011
1200
1200
1400 900
200
ფარნავაზ მეფის გამზ.
იოანე პეტრიწის ქ.
User Name: kgiglemiani
Date: 4/7/2017